ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N 03

27 თებერვალი 2026 წელი

ქ. ბაღდათი

11:00 საათი

2026 წლის 27 თებერვალს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, ირინა ტყეშელაშვილი, ბიძინა ჯაბიძე, სიმონ ჭოლოკავა, მაია კბილაშვილი, გიორგი კოტორეიშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძე, მურად ბურჯანაძე, კახა კოხოძე, გვანცა გრძელიძე, შადიმან გორგოძე, გიგა კესარელი, თინათინ დემეტრაძე, ირაკლი მშვილდაძე, ირაკლი ყანაჩაველი, ელიზა ზაზარაშვილი, გრიგოლ ტაბეშაძე, კობა კელენჯერიძე, გურამ ჩხეიძე, მურად მსხვილიძე, ლაშა კბილაშვილი, გიორგი ჯაბიძე, ზაზა ზივზივაძე.

სულ: 24 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: მარიამ მაშანეიშვილი, დიომიდე კიკნაველიძე, ფრიდონ მაჩიტაძე, თეა გოგნაძე, გიორგი ნჭელიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

რევაზ კიკნაველიძე - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

მირიან ფულარიანი - ააიპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ დირექტორის მოადგილე.

ანტონ ქარაბაკი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

ვლადიმერ მელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

თამთა ღვალაძე - მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი.

პრესის წარმომადგენლები: „ჩემი გაზეთი“

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში.

თამთა ჯიხვაძე - საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომელი ბაღდათის მუნიციპალიტეტში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა გურამი კიკნაველიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების ანგარიში, 2025

წელში მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ამბერკი რობაქიძე - ააიპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ დირექტორი.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

   მომხს. ანტონ ქარაბაკი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

3. “ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის № 15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. თამთა ღვალაძე - მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის დიმის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი დიმი), სოფელ დიმში 21-ე ქუჩის გაყოფის შესახებ.

   მომხს. ეკატერინე მშვილდაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის N 13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

   მომხს. გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 24 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების ანგარიში, 2025 წელში მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

გაერთიანების მიერ გაწეული მუსაობის შსახებ ანგარიში საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა, **მირიან ფულარიანმა- ააიპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ დირექტორის მოადგილე.**

აზრი გამოთქვეს: თორნიკე გჩეჩილაძემ, გიორგი კოტორეიშვილმა, გიორგი ჯაბიძემ,მურად ბურჯანაძემ, გია სახამბერიძემ, ირინა ტყეშელაშვილმა, ირაკლი ყანჩაველმა, ირაკლი მშვილდაძემ, თინათინ დემეტრაძე, ელიზა ზაზარაშვილმა ბიძინა ჯაბიძემ, გურამი კიკნაველიძემ.

ანგარიშის, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურის და ქონების მართვის კომისიაზე განხილვის შესახებ ბიუროს წევრებს ინფორმაცია და გადაწყვეტილება მიაწოდა, **ამავე კომისიის თავმჯდომარემ- თორნიკე გაჩეჩილაძემ.**

მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N5 განკარგულება:გ-67. 6726058001 თარიღი:27/02/2026 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 24 წინააღმდეგი- 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:2.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

ანგარიში, 2025 წელში განხორციელებული შესყიდვების თაობაზე საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა, **ანტონ ქარაბაკმა - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.**

აზრი გამოთქვეს: თორნიკე გჩეჩილაძემ, სიმონ ჭოლოკავამ, მურად ბურჯანაძემ, გვანცა გრძელიძემ, გურამი ჩხეიძემ, კობა კელენჯერიძემ, გურამი კიკნაველიძემ.

საკრებულოს სხდომამ ცნობად მიიღო: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:3. "ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის № 15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დადგენილების პროექტი საკრებულოს წევრებს წარუდგინა, თამთა ღვალაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი, რომელმაც აღნიშნა, რომ „წინა სხდომაზე გარკვეულ საშტატო ერთეულებზე მოხდა კატეგორიების ამაღლება და ამ დადგენილებით ხდება ძველის ამოღება საშტატო ნუსხიდან“.

საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის გადაწყვეტილება დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრებს გააცნო, ამავე კომისიის თავმჯდომარემ- გვანცა გრძელიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 4 დადგენილება:დ-67. 6726058001 თარიღი:27/02/2026 (დადგენილება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 24 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის დიმიდ ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი დიმი), სოფელ დიმში 21-ე ქუჩის გაყოფის შესახებ.

განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა, ეკა მშვილდაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, რომელმაც აღნიშნა, რომ, „ მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იყო აღნიშნული ქუჩის მოქალაქეების განცხადება ქუჩის გაყოფაზე, რასაც დაეთანხმა მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულოდან ითხოვენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის გადაწყვეტილება განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრებს გააცნო, ამავე კომისიის თავმჯდომარემ- გვანცა გრძელიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N6 განკარგულება:გ-67. 67260582 თარიღი:27/02/2026 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 24 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნციპალური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის N 13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დადგენილების პროექტი საკრებულოს წევრებს გააცნო, გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N5 დადგენილება:დ-67. 67260582 თარიღი:27/02/2026 (დადგენილება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 24 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე